

არემჭი

სიასღუეები

რიჩ მეტალს გრუპი

N 9 | დეკემბერი | 2014



კომპანია “არემჭი”, გარდა იმისა, რომ რეგიონში ერთ-ერთი უდიდესი დამსაქმებელია, გამოჩენილია საქველმოქმედო საქმიანობითაც. “არემჭის” ახალი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, საწარმოს მუშა-მოსამსახურეების პირობების გაუმჯობესების გარდა, რაიონში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, ნიჭიერი ადამიანების, ახალგაზრდა თაობის და იმათ გვერდით მხარში დგომა, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება. ჩვენ გაზეთის ამ ნომერში გვინდა, აქედან ერთხელ გადავავლოთ თვალი, თუ დროის მოკლე მონაკვეთში რა გაკეთდა კომპანია “არემჭის” მხრიდან რაიონისთვის. თუმცა, ქველმოქმედება ერთჯერადი არ არის და ის ყოველთვის იქნება კომპანიისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი.

1 ივნისი, 2014 წელი

კომპანია “არემჭის” წარმომადგენლებმა დაბა კაზრეთისა და სოფელ ბალიჭის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცეს. სპეციალურად ბავშვებისთვის დაბაში „მულტი-პულის“ სამყაროს გმირები და ანიმატორები ჩავიდნენ, სადაც ბავშვებისთვის დაუფინანსარი დღესასწაული გამართეს. ბაღის აღსაზრდელებთან ერთად შოუ-პროგრამას მათი დაძმები და მშობლები დაესწრნენ. “არემჭის” წარმომადგენლებმა საბავშვო ბაღებს მუსიკალური ცენტრი-კარაოვე გადასცეს

საჩუქრად, ხოლო ბავშვებს ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ. **ჭილდა ჭინჭარაძე, დაბა კაზრეთის საბავშვო ბაღის მენეჯერი:** “მადლობა კომპანია “არემჭის” იმ სიხარულისთვის, რომელიც მან თითოეულ ბავშვს მიანიჭა ასეთ მნიშვნელოვან დღეს. აქამდე ისინი ნამდვილად არ იყვნენ განებივრებული მსგავსი ღონისძიებებით.”

ნინო ჯაჭანიძე, სოფელ ბალიჭის საბავშვო ბაღის მენეჯერი: “კომპანიამ მოგვიწყო შესანიშნავი ღონისძიება. ბავშვებისთვის ეს დღე ნამდვილი სიურპრიზი იყო, რომელიც დიდხანს ემახსოვრებათ.”



10 ივლისი, 2014 წელი

კომპანია “არემჯის” ფინანსური მხარდაჭერითა და ხელშეწყობით ელგუჯა ბასილაშვილის კადეტებმა, რეგიონის სახელით, ბათუმში გამართულ ფ.გაგუას სახელობის საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა, სადაც ორ საფინალო ეტაპზეც იჭიდდნენ. ოქროს მედალი კაზრეთელმა ბაჩუკი ავალიშვილმა მოიპოვა.

ელგუჯა ბასილაშვილი, დაბა კაზრეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა

გუნდის მწვრთნელი: “კომპანია “არემჯის” ხელშეწყობის გარეშე ჩვენ ამ ტურნირზე მონაწილეობას ვერ მივიღებდით. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კომპანიის ხელმძღვანელობას სპონსორობისთვის!



იმედი გვაქვს, რომ კომპანია მომავალშიც ამოგიდგება მხარში და ვასახელებთ რეგიონს.
კომპანია, რეგულარულად

აფინანსებს და სპონსორობას უწევს კაზრეთის გუნდს სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად.



4 სექტემბერი, 2014 წელი

კომპანიის ხელშეწყობითა და სპონსორობით, დაბა კაზრეთში 4-14 სექტემბერს მინი-ფეხბურთის ტურნირი გაიმართა, სადაც 12 გუნდი იღებდა მონაწილეობას.

კომპანიამ სპეციალურ საპრიზო ფონდთან ერთად სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლენილი მონაწილეებისთვის სიმბოლური საჩუქრები დაანწესა. ფინალურ დღეს, კაზრეთის ქორეოგრაფიულ

ანსამბლ “მართვეს”

მოცეკვავეებმა სპეციალური შოუ მოაწყვეს როგორც ტურნირის მონაწილეებისთვის, ასევე მაყურებლებისთვის.

ბახვა მოსეშვილი, ტურნირის

მსახი: “მართლაც, სასიამოვნოდ ჩაიარა სატურნირო დღეებმა.

მსგავსი სახის ღონისძიება პირველად ჩატარდა ჩვენს დაბაში და ბუნებრივია, რომ ყველა კმაყოფილი იყო. იმედი მაქვს, რომ ამას მიეცემა რეგულარული სახე და ადგილობრივი ახალგაზრდობა უფრო მეტად ჩაერთვება სპორტულ ცხოვრებაში.”

“არემჯი” მსგავსი სპორტული ღონისძიებების გამართვას სისტემატურად გეგმავს.



15 სექტემბერი, 2014 წელი

ამ დღეს, კომპანიის წარმომადგენლებმა დაბა კაზრეთის №2 საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს 2014-2015 სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს, საჩუქრად კი სპორტული ინვენტარი – კალათბურთის ფარები და მაგიდის ჩოგბურთის ორი კომპლექტი გადასცეს. კომპანიის დაფინანსებით საკლასო ოთახებში მზისგან დამცავი ფარდა-ჟალუზები დამონტაჟდა.

დინარა პირველი, დაბა კაზრეთის №2 საჯარო სკოლის დირექტორი:
“კომპანია “არემკის”

ხელმძღვანელობამ ამ დღესთან დაკავშირებით ძალიან დიდი საჩუქარი გაგვიკეთა. რაც ყველაზე მთავარია, 15 საკლასო ოთახში დაგვიმონტაჟეს ფარდა-ჟალუზები, ეს კი უფრო მეტ კომფორტს უქმნის ჩვენს მოსწავლეებს.

კმაყოფილია ყველა, დიდიც და პატარაც. კომპანიის მიერ გადმოცემული სპორტული ინვენტარით სარგებლობენ როგორც ჩვენი სკოლის მოსწავლეები, ასევე დაბის მოსახლეობაც!”



“არემკი” მხარს უჭერს რეგიონში სხვადასხვა კულტურული, საგანმანათლებლო და სოციალური პროექტების განხორციელებას.

22 სექტემბერი, 2014 წელი

“არემკიმ” დაბა კაზრეთის თავისუფალი სტილით მოტიდავითა გუნდს სპორტულ დარბაზში ცხელი წყლის სისტემა და საშხაპეები დაუმონტაჟა. გუნდის წევრებს კი საჩუქრად ახალი სპორტული ფორმა და ციფრული ფოტოაპარატი

გადასცა.

ელგუჯა ბასილაშვილი, დაბა კაზრეთის თავისუფალი სტილით მოტიდავითა გუნდის მწვრთნელი: “ჩემი ბიჭები ძალიან გახარებულები და კიდევ უფრო მოტივირებულები არიან, რომ კომპანია “არემკი” თავისი ქველმოქმედებით მუდამ მხარში გვიდგას.

კომპანია რეგულარულად აფინანსებს ჩვენს სატურნირო ტურებს და ჩემი ბიჭების სახელით მინდა მადლობა გადავუხადო მენეჯმენტს.”
“არემკი” სრულ მხარდაჭერას უცხადებს დაბაში სპორტული და ჯანსაღი ცხოვრების სტილის განვითარებასა და დამკვიდრებას.

29 სექტემბერი, 2014 წელი


კომპანია “არემკი” სექტემბრის თვიდან კაზრეთის ბავშვთა საფეხბურთო გუნდს რეგულარულად აფინანსებს. პატარა სპორტსმენებს შესაძლებლობა ეძლევათ, რომ იასპარეზონ სხვადასხვა ტურნირებზე და

ჩაატარონ გასვლითი თამაშები.
ბახვა მოსეშვილი, საფეხბურთო უნდის მწვრთნელი: “მადლობა “არემკის”, რადგან ახლა უკვე უპრობლემოდ შეგვიძლია ელიტ-ლიგაში მონაწილეობის მიღება. ასევე დავდივართ გასვლით თამაშებზე, ვიხდით კვებისა

და ტრანსპორტირების საფასურს. მათი დახმარებით მოგვეცა შესაძლებლობა, რომ საჭიროების შემთხვევაში დროულად შევიძინოთ სპორტული ფორმა.



ამას ადრე ნამდვილად ვერ ვახერხებდით.”
“არემკი” წარმატებასა და გამარჯვებას უსურვებს მომავალ ფეხბურთელებს!



1 ოქტომბერი, 2014 წელი

“არემკიშ” ბოლნისის ხანდაზმულთა დღის ცენტრის ბენეფიციარებს 1 ოქტომბერი – მოხუცთა საერთაშორისო დღე მიულოცა და საქველმოქმედო ღონისძიების სახით შენობაში ცენტრალური გათბობის სისტემა დაუმონტაჟა. ხანდაზმულთა დღის ცენტრი წითელი ჯვრის ეგიდითა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ფუნქციონირებს, რომელსაც ყოველდღიურად, საშუალოდ, 40-მდე ბენეფიციარი სტუმრობს.

თეონა აბრამიშვილი, საქართველოს წითელი ჯვრის ბოლნისის ფილიალის ხანდაზმულთა დღის ცენტრის მენეჯერი: “კომპანიის



წარმომადგენლებს ვუთხარით, რომ ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენი ბენეფიციარებისთვის იყო შენობაში გათბობის არარსებობა – ზამთრის პერიოდში ჩვენ მხოლოდ ერთი ოთახის გათბობის შესაძლებლობა გვქონდა. ამიტომ ბოლნისელ ბენეფიციარებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ სრულად ესარგებლათ ჩვენი დღის ცენტრით. ჩვენ დეტალურად ავეხსენით “არემკის”



წარმომადგენლებს არსებული პრობლემა და მათ 1 ოქტომბერს ასეთი სიურპრიზი მოუწყეს ჩვენს მოხუცებს. კომპანიის დახმარებით, დღეს უკვე მთელ შენობაში არის სითბო. მოიმატა ბენეფიციართა რაოდენობამაც. წითელი ჯვრისა და ჩვენი ბენეფიციარების სახელით, მადლობას ვუხდით კომპანიას გაწეული დახმარებისთვის!”

22 ოქტომბერი, 2014 წელი

კომპანიამ მორიგი საქველმოქმედო ღონისძიება გამართა დაბა კაზრეთისა და სოფელ ბალიგის საბავშვო ბაღებში. კაზრეთის ბაღის ჯგუფებისთვის 60 საწოლი შეიძინა, ხოლო ბალიგის ბაღს საჩუქრად სამი კარადა და ტელევიზორი გადასცა. კომპანიის წარმომადგენლები საბავშვო ბაღებში მისულ აღსაზრდელებს ტკბილეულით და ფერადი ბუშტებით გაუმასპინძლდნენ.

ჭილდა ჭინჭარაძე, დაბა კაზრეთის საბავშვო ბაღის მენეჯერი: “ეს არის იმ დღის გაგრძელება, როდესაც კომპანიის წარმომადგენლობი



მოვიდნენ ბაღში და დეტალურად დაათვალიერეს ყველაფერი. გაეცნენ ჩვენს პრობლემებს და ასე მოულოდნელად, ოქტომბრის ბოლოს, გაგვიკეთეს დიდი სიურპრიზი. არ მახსოვს, რომ ჩვენი ბაღისთვის ასეთი საჩუქარი ვინმეს გაეკეთებინოს. მადლობა მათ!”

ნინო ჯაჭანიძე, სოფელ ბალიგის საბავშვო ბაღის მენეჯერი:

“ძალიან სასიამოვნოა, როდესაც კომპანიის მიერ გაწეულ ქველმოქმედებას უკვე

სისტემატური სახე მიეცა. საჩუქრად გადმოგვცეს ის, რაც ჩვენს ბაღს ძალიან სჭირდებოდა. მადლობა მინდა ვუთხრა კომპანიას, კოლეგებისა და მშობლების სახელით.”

